აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 15

07 აგვისტო 2008 წელი ქ. ბათუმი

უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28[1] მუხლით განსაზღვრულ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28[1] მუხლით განსაზღვრულ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით შემდეგი ოდენობით:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა 50 000-დან 100 000-მდე 430 ლარი;
2. ამომრჩეველთა რაოდენობა 50 000-მდე 390 ლარი.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

თავმჯდომარე	395 ლარი;
თავმჯდომარის მოადგილე	365 ლარი;
კომისიის მდივანი	335 ლარი;
კომისიის წევრი	285 ლარი.

მუხლი3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია